სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	**ენათა კვლევის თეორიული საფუძვლები და გამოყენებითი ასპექტები** **Theoretical Principles and Applied Aspects of Language Studies**
ავტორი	სრული პროფესორი, აკად. თ. გამყრელიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ ლინგვისტური პროგრამების ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი; ტელ.: 998891 (სამსახური), 226492 (ბინა); www.science.org.ge/Thomas gamkrelidze
ლექტორები	სრული პროფესორი, აკად. თ. გამყრელიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ ლინგვისტური პროგრამების ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი; ტელ.: 998891 (სამსახური), 226492 (ბინა). www.science.org.ge/Thomas gamkrelidze პროფ. ირინე მელიქიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტი, ტელ.: 227409 (სამსახ.); 327656 (ბინა); 895 3711(მობ)
სასწავლო კურსის (მოდულის) კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, დოქტორატურა, არჩევითი
სასწავლო კურსის მიზნები	თეორიული ენათმეცნიერების თანამედროვე მიღწევებისა და კვლევის უახლესი მეთოდების გაცნობა და ათვისება: სტრუქტურული, დესკრიფციული, ფუნქციონალური, გენერატიული და კომპიუტერული გრამატიკების მოდელების აგება; სინქრონიული და დიაქრონიული მეთოდების დასწავლა; ენის სოციალური და გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზება.
კრედიტების	სასწავლო კურსის კრედიტები:

რაოდენობა და საათების გაანაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	10 ECTS 63 საკონტაქტო საათი **აქედან:** ლექცია–სემინარები – 60 საათი დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო 3 საათი 187 დამოუკიდებელი მუშაობის საათი **აქედან:** შუალედური გამოცდის მოსამზადებლად განკუთვნილი დრო – 20 საათი დასკვნითი გამოცდის მოსამზადებლად განკუთვნილი დრო – 37 საათი
დაშვების წინაპირობები	სასწავლო კურსს შესწავლის წინაპირობები არ გააჩნია
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** კურსის გავლის შემდეგ დოქტორანტი შეიძენს თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რაც მისცემს მას საშუალებას რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონის შესაბამისად გააფართოვოს არსებული ცოდნა და გამოიყენოს ინოვაციური მეთოდები. ის შეძლებს არსებული ცოდნის ახლადწარმოქმნილი თეორიების ფარგლებში გადაფასება-გადააზრებას და განახლებული ცოდნის გაცნობიერებას. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება** კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია: დამოუკიდებლად წარმართოს ენობრივი სტრუქტურების ანალიზი სინქრონიული თუ დიაქრონიული მეთოდების გამოყენებით; ენობრივი მასალის მოპოვება და ანოტირება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, ამ გეგმის განხორციელება და მონიტორინგი; ასევე, ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული უახლესი კვლევითი და ანალიტიკური

	მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რაც აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. **დაკვნის უნარი** კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი განივითარებს: ენათმეცნიერული საკითხების ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარს, რაც ხელს შეუწყობს მის მიერ ახალი მეთოდოლოგიების განვითარებასა და შემუშავებას; ეს კი, თავის მხრივ, დაეხმარება პრობლემის გადასაჭრელად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაში. **კომუნიკაციის უნარი** ახალი და არსებული ცოდნის ურთიერთკავშირის დასაბუთებულად წარმოჩენის უნარი აამაღლებს სტუდენტის სამეცნიერო, მათ შორის საერთაშორისო, საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვის ხარისხს; უცხო ენის სათანადო დონეზე ცოდნა მნიშვნელოვნად გაზრდის მის საკომუნიკაციო უნარს. მას შეეძლება ენათმეცნიერულ თემებზე თანმიმდევრული, არგუმენტებით გამყარებული მსჯელობა და ჯგუფში მუშაობა. **სწავლის უნარი** ენათმეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ის ყოველთვის მზად იქნება ახალი იდეებისა და პროცესების მისაღებად და გასავითარებლად სწავლის, ნებისმიერი საქმიანობისა თუ კვლევის პროცესში. **ღირებულებები** სტუდენტს შეეძლება უახლეს ენათმეცნიერულ თეორიებსა და მიდგომებში ახალი ღირებულებების გამოკვეთა; ამ ღირებულებათა დამკვიდრების გზების მოძიება, კვლევა და მათ დასაფუძნებლად ინოვაციური მიდგომების შემუშავება; ასევე, გამოუმუშავდება დაკისრებული მოვალეობებისადმი და ინტელექტიური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა.
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი
სწავლებისა და	სასწავლო პროცესი წარიმართება 25–50 კაციან ჯგუფებში

სწავლის მეთოდები	ყოველ თემას ეთმობა 2 ლექცია და 2 სემინარი. ლექციები და სემინარები ინტერაქტიულია და ორიენტირებულია სტუდენტების აქტიურ ჩართულობაზე. გამოიყენება სწავლების ახსნა–განმარტებითი, ანალიზისა და სინთეზის, ასევე, დემონსტრირების მეთოდები; ჯგუფური მუშაობისას ტარდება დისკუსია–დებატები; მსჯელობისასი წახალისებულია სტუდენტების კრეატიულობა. 5–6 თემის დასრულების შემდეგ ტარდება შემაჯამებელი შუალედური გამოკითხვა - წერითი გამოცდა (სულ 2) როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საკითხებზე. დასკვნით გამოცდამდე ყოველი სტუდენტის მიერ მზადდება რეფერატი და/ან პრეზენტაცია (შერჩევით).
შეფასება	**შეფასების ფორმები და ხვედრითი წილი:** დასწრება - 10% სამუშაო ჯგუფში მუშაობა - 10% საშუალედო შეფასებები - 15% x 2=30% რეფერატი/პრეზენტაცია - 10% გამოცდა - 40% საბოლოო შეფასება - 100% **დასწრება და სამუშაო ჯგუფში აქტივობა: 10%** **4 ქულა** - ჩართულობა დისკუსიაში; **3 ქულა** - არგუმენტაცია და მსჯელობა ეთიკის ფარგლებში; **3 ქულა** - პასუხიმგებლობა სასწავლო პროცესის მიმართ; **სამუშაო ჯგუფში გამოვლენილი ცოდნა: 10%** **4 ქულა** - საშინაო დავალების სახით მიცემული თემის (თეორიული საკითხების) მომზადება (ინდივიდუალური კონსპექტების წარმოდგენა და ზეპირად ძირითადი დებულებების გადმოცემა); **3 ქულა -** თეორიული საკითხების შესახებ მსჯელობა, ანალიზი და ინტერაქტიური დისკუსია; **3 ქულა** - თეორიული საკითხების ცოდნისკონკრეტული ენობრივ მასალაზე პრაქტიკული გამოყენების უნარი. **შუალედური გამოცდის შეფასება: 2 x 15%= 30%** სტუდენტს ეძლევა თეორიული საკითხი და პრაქტიკული დავალებები; ყოველი კოლოკვიუმი ფასდება 15 ქულით: **15-13 ქულა** - სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ თეორიულ მასალას; ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; ჩანს ლოგიკური აზროვნება, ანალიზის უნარი და თეორიული მასალის

	პრაქტიკულად გამოყენების ხარისხი მაღალია. **12-9 ქულა:** სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებული განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა; ჩანს ლოგიკური აზროვნება და კომპეტენცია, მაგრამ პრაქტიკულად თეორიული დებულებების გამოყენების ხარისხი დაბალია. **8-6 ქულა:** სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი მასალა, აღინიშნება რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა და პრაქტიკული ტიპის დავალებების შესრულებისას უშვებს შეცდომებს. **6-2 ქულა:** თეორიული საკითხებში გარკვეულია მხოლოდ ფრაგმენტულად და ვერ ასრულებს პრაქტიკულ დავალებებს. **1-0 ქულა:** პასუხი თეორიული საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **პრეზენტაცია (ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის სახით) 10 %** **3 ქულა** - გამართულია ნაშრომის ფორმალური მხარე (ფორმატი), რომელიც მოიცავს შემდეგ ასპექტებს: რეგლამენტის დაცვა, ნაშრომის სტრუქტურირება მასალების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფორმით დამუშავება და წარმოდგენა, გაფორმების ვიზუალური მხარე და სხვ. **5 ქულა** - გამართულია ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - საკითხის დასმა, საკითხის გადაწყვეტის გზა, ღრმა და ლოგიკურად გამართული ანალიზი, მიღებული შედეგების განზოგადება, მათი არგუმენტირებული დასაბუთება და დასკვნითი დებულებების შემუშავება. **2 ქულა** - პრეზენტაციის ტექნოლოგია - კონტაქტი აუდიტორიასთან. **დასკვნითი გამოცდა (წერილობითი): 40 %** სუტდენტს ეძლევა (ბილეთების სახით) ერთი თეორიული საკითხი და 4 ტესტის ტიპის პრაქტიკული დავალება (5-ქულიანი). საბოლოო შეფასებაა 40 ქულა. შეფასების კრიტერიუმები: **20-17 ქულა** - სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ თეორიულ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; კარგად ართმევს თავს პრაქტიკული დავალებების შესრულებას. **16-14 ქულა:** სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით

	გათვალისწინებულ განვლილ თეორიულ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა; პრაქტიკულ დავალებებში კარგად ჩანს ლოგიკური აზროვნება, თუმცა უშვებს მცირე შეცდომებს. **13-10 ქულა:** სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება უმნიშველო შეცდომები თეორიული საკითხების გადმოცემისას. პრაქტიკულ დავალებებში უშვებს რამდენიმე არსებით შეცდომას, მაგრამ მთლიანობაში თავს ართმევს ამოცანების გადაწყვეტას. **9-6 ქულა:** სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი მასალა, აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა; პრაქტიკულ დავალებებში ლოგიკური აზროვნებისა და თეორიული მასალის კომპეტენციის დონე დაბალია, უშვებს არსებით შეცდომებს. **5-2 ქულა:** პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმნეტები; პრაქტიკულ დავალებებს ვერ ასრულებს. **1 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის. **0 ქულა:** პასუხი საერთოდ არაა მოცემული. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა - 11 ქულა საბოლოო შეფასება - 100 ქულა *ლექციებზე დასწრება სავალდებულოა*
სავალდებულო ლიტერატურა	1. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია: თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: "თსუ. გამომცემლობა". 2003. 2. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1999. 3. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965. 4. ფ. დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2002. 5. Дж. Гринберг, Квантитативный подход к морфологической типологии языков, Новое в лингвистике, III, М., 1963. 6. Л. Теньер, Основы структурного синтаксиса, М., 1988. 7. Н. С. Трубецкой, Основы фонологии, М., 1960. 8. Н. Хомский, Аспекты теории синтаксиса, М., 1972. 9. Th. Bynon, Historical Linguistics, Cambridge, 1977.

	10. B. Comrie, Language Universals and Linguistic Typology, Chicago, 1989. 11. A. Wierzbicka, Semantics: Primes and Universals, Oxford&New York, 1996
დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	12. რ. ასათიანი, ინფორმაციის სტრუქტურირება და ტექსტის აგება: პრაქტიკული რჩევები, თბილისი, 2009 13. თ. გამყრელიძე. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბილისი, 1989-1990. 14. თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი, 2000. 15. თ. გამყრელიძე, ენა და ენობრივი ნიშანი, თბილისი, 2008. 16. გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965. 17. ი. მელიქიშვილი, მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი, 1976. 18. ს. ჟღენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, თბილისი, 1963. 19. გ. რამიშვილი, ენის ენერგეტული თეორიის საკითხები, თბილისი, 1978. 20. ე. სოსელია, სემანტიკური უნივერსალიები და ქართველური ენები: ფერთა კატეგორიზაციის მოდელები, თბილისი, 2009. 21. ნ. შენგელაია, არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა, თბილისი, 2000. 22. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბილისი, 1968. 23. ზ. ჯაფარიძე, პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1975. 24. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1949. 25. Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, I-II, თბილისი, 1984. 26. Г. А. Климов. Типология языков активного строя, М., 1983. 27. Семиотика, Сборник переводов, М., 1983. 28.А.Мейе, Сравнительный метод в историческом языкознании, М., 1954. 29. Дж. Гринберг, Ч. Осгуд, Дж. Дженкинс, Меморандум о языковых универсалиях, Новое в лингвистике, Языковые универсалии, V, М. 1970. 30.Ч. Хоккетт, Проблема языковых универсалий, Новое в лингвистике, 5, М. 1970.

	ყველა დასახელებული სახელმძღვანელო (როგორც ძირითადი, ასევე - დამატებითი) ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის, ფაკულტეტის, ინსტიტუტისა და ლექტორების პირად ბიბლიოთეკებში.
სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები	----------

დანართი

სასწავლო კურსის შინაარსი

N	ლექციის/სემინარის/პრაქტიკუმის/ლაბორატორიული სამუშაოს და ა. შ. თემა	ლიტერატურა (შესაბამისი გვერდების მითითებით)
1	**I თემა:** ენათმეცნიერების შესწავლის საგანი და ობიექტი. ენა-ობიექტი და მეტაენა; ენათმეცნიერების მიმართება სხვა დარგებთან; ენის რაობა და ფუნქციები; ენის დანაწევრობითობის ფუნქცია; ცხოველის «ენა»; ენობრივი რელატივიზმი; ენობრივი «მსოფლხედვა»; ენა როგორც არა მხოლოდ სინამდვილის ასახვის, არამედ სინამდვილის შექმნის საშუალება. ვ. ფონ ჰუმბოლდტის ენერგეტული თეორია. **II თემა:** ენა და ინფორმატიკა: ენა როგორც საკომუნიკაციო კოდი; კომუნიკაციის თეორიის საწყისები; ენობრივ შეტყობინებათა ინფორმაციული ანალიზის საკითხები; სრული და არასრული სისტემები; ელემენტთა განაწილება სისტემაში _ დისტრიბუცია; სისტემის ანალიზისა და სინთეზის მეთოდები; შეტყობინების ინფორმაციის ზომა, ინფორმაციის საშუალო რაოდენობა, საკომუნიკაციო სისტემის ენტროპია და სიჭარბე.	[1], გვ. 19-28 [19], (თავები შერჩევით) [1], გვ. 36-99
2	**III თემა:** ენა და სემიოტიკა – ენა როგორც ნიშანთა სისტემა; ნიშანთა სიტემების ზოგადი თეორიის საფუძვლები; ნიშანთა შესწავლის სამი ასპექტი: სინტაქტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა; და ნიშანთა სახეები: ხატი, სიმბოლო, ინდექსი; მიმართებები ნიშანთა შორის: სინტაგმატიკა-პარადიგმატიკა; სინქრონია-დიაქრონია; ენისა და მეტყველების დიქოტომია. **IV თემა:** ენა როგორც პირობით ბგერით ნიშანთა სისტემა; მოძღვრება ენობრივი ნიშნის ბუნების შესახებ; ენის შინაარსისა და გამოხატულების პლანი და ფერდინანდ დე სოსიურის თეზისი ნიშნის პირობითობის შესახებ. უძველესი ანტიკური თეორიები ნიშნის პირობითობის შესახებ; დამატებითობის ფუნდამენტური პრინციპი: «აღსანიშნსა» და «აღმნიშვნელს» შორის არსებული«ვერტიკალური» და «ჰორიზონტალური»	[1], გვ. 29-31 [4], გვ. 73-81; [5], (სტატიები შერჩევით) [1], გვ. 31-36. [14], გვ. 239-249 [4], გვ. 81-104.

	მიმართებები.	
3	**V თემა:** ფონეტიკა როგორც ენათმეცნიერების დარგი, მისი შესწავლის საგანი და ობიექტი და ქვედარგები: არტიკულაციური, აკუსტიკური და პერცეფციული ფონეტიკა; საარტიკულაციო ორგანოები და ბგერათა არტიკულაციური დახასიათება: ჰომოგენური და ჰომორგანული ბგერები. **VI თემა:** სამეტყველო ბგერათა კლასიფიკაციის პრინციპები; ქართულ თანხმოვანთა "განდასება" და კლასიფიკაციის ახლებური ინტერპრეტაცია; ბგერათა წარმოქმნის ფაზები და ძირითადი ფონეტიკური პროცესები: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, რედუქცია, ბგერათშერწყმა; ენის პროსოდიული მახასიათებლები: მახვილი, ტონი; წინადადების ინტონაციური კონტური.	[1], გვ. 93-116 [2], გვ. 12-39 [14], გვ. 249-256
4	**VII თემა:** ფონოლოგია როგორც ფუნქციონალური ფონეტიკა; სხვადასხვა ფონოლოგიური თეორიები; ფონი, ფონემა და ალოფონი; ფონოლოგიური ანალიზის პრინციპები: დისტრიბუცია; ოპოზიცია და ოპოზიციათა სახეები; ოპოზიციის ნეიტრალიზაცია და არქიფონემა. **VIII თემა:** ფონოლოგიურ დაპირისპირებათა ფუნქციური დატვირთვა; ფონემათა დისტრიბუციის ზოგადი აღრიცხვის მათემატიკური მოდელი;ფონემა როგორც დიფერენციალურ ნიშანთა კონა; მარკირების იერარქიული მიმართება ფონოლოგიაში და ფონემის დიფდერენციალური ნიშნები.	[1], გვ. 116-126 [7], გვ. 7-37 [1], გვ. 126-178 [17], გვ. 9-31
5	**IX თემა:** ენის წერილობითი კოდები; დამწერლობის სახეები და წერის ანბანური სისტემა; ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობა. წერითი სისტემების სტრუქტურალისტური მეთოდებით ანალიზი: გრამამება და ალოგრამები. ასო ნიშანთა დისტრიბუციები და დამწერლობათა დეკოდირების ზოგადი პრინციპები. **X თემა:** მორფოლოგია როგორც ენათმეცნიერების დარგი და მისი შესწავლის საგანი და ობიექტი. სტრუქტურალისტური მეთოდები მორფოლოგიაში: სიტყვა როგორც მორფოლოგიური კონსტრუქცია და მისი დეფინიცია; სიტყვის აგებულება: ძირი, ფუძე, აფიქსი; აფიქსთა სახეები; პარადიგმა; დერივაცია, ფლექსია და შესაბამისი პარადიგმები.	[1], გვ. 492-522 [13], (თავები შერჩევით) [1], გვ. 178-188 [24], (თავები შერჩევით)
6	**XI თემა:** თავისუფალი და ბმული ფორმები;	[1], გვ. 189-206

	მორფემური ანალიზის სტრუქტურილი პრინციპები: მორფი, მორფემა და ალომორფი; ნულოვანი აფიქსი; მორფონოლოგია; გამონათქვამის სეგმენტაცია მორფებად: მორფოლოგიურ ფორმათა კვადრატი; მორფოლოგიური დიფერენციალური ნიშანი; გრამემა და გრამატიკული კატეგორია. **XII თემა:** სინტაქსის შესწავლის საგანი და ობიექტი. უახლესი სინტაქსური თეორიები: ტრადიციული, სტრუქტურული გენერატიული და პრაგმატიკული; წინადადება როგორც მაღალი ენობრივი დონის კონსტრუქცია და მისი უშუალო შემადგენელთა მეთოდით ანალიზი; გრამატიკულად «სწორი» და «არასწორი» კონსტრუქციები; «აზრიანი» და «უაზრო» გამონათქვამები.	[1], გვ. 246-266
7	**XIII თემა:** მორფოსინტაქსი: ვალენტობა და ტენიერის სტრუქტურული სინტაქსი. "ვალენტობისა" და "პირიანობის" მიმართება და შანიძისეული "პირიანობის" რეინტერპრეტაცია. XIV თემა: გრამატიკა როგორც ენის წარმომშობი მექანიზმი. წარმომშობი გრამატიკების მოდელები; გრამატიკული ტრანსფორმაციები: ბირთვული და არაბირთვული წინადადებები; ნოამ ჩომსკის ტრანსფორმაციულ-გენერატიული გრამატიკის მოდელი და მისი განვითარება. სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურები. რ. მონტეგიუს ფორმალური სემანტიკა	[14], გვ. 132-151; [6],(თავები შერჩევით) [1], გვ. 266-329; [8], (თავები შერჩევით)
8	**XV თემა:** ტექსტის ლინგვისტიკის საგანი და ამოცანები; ტექსტი როგორც უმაღლესი ენობრივი დონის ერთეული და მისი აგების ფორმალური საშუალებები; კონტექსტის მნიშვნელობა ტექსტისათვის; ფუნქციური ტექსტების სპეციფიკა; სტრუქტურული პოეტიკა; პარალინგვისტიკა; დისკურსის ცნება. **XVI თემა:** ტექსტის სტრუქტურული ანალიზი: პრაგმატიკული ასპექტები და წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა; ძველი-ახალი ინფორმაციის კოდირება ტექსტში: ტოპიკი, ფოკუსი და საერთო ფონი.	[1], 434-448 [21], (თავები შერჩევით) [1], (თავები შერჩევით)
9	**XVII თემა:** ლინგვისტური სემანტიკის ძირითადი პრინციპები და მეთოდები, ენობრივ ფორმათა ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობების შესწავლა. მნიშვნელობათა ლინგვისტური	[1], გვ. 332-394 [11], (თავები შერჩევით)

	ტიპოლოგია. სემა და სემანტემა. ვეჟბიცკას სემანტიკური პრიმიტივები. ფორმალური სემანტიკა. **XVIII თემა:** ენათა შედარებითი ანალიზი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერება; ენათა იზომორფიზმი და ალომორფიზმი; ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით. ძირეული მორფემებისა და დამხმარე ელემენტების ტიპოლოგია. ენათა კონტენსიურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია სინტაქსურ კონსტრუქციათა ტიპების მიხედვით: ერგატიული, ნომინატიური და აქტიური ენები.	[1], გვ. 399-434 [28], (თავები შერჩევით) [30], (თავები შერჩევით)
10	**XIX თემა:** ლინგვისტური უნივერსალიები და მათი სახეები: აბსოლუტური და კვაზიუნივერსალიები; იმპლიკაციური უნივერსალიები; უნივერსალური გრამატიკა; გრინბერგისა და ლემანის სიტყვათა რიგის ტიპოლოგიათა მსგავსება-განსხვავებები და უნივერსალური კანონზომიერებები. **XX თემა:** ისტორიული (დიაქრონიული) და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება; ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თეორიული საფუძვლები; ნიშნის ნებისმიერობის პრინციპი და ბგერათშესატყვისობა. მონათესავე ენები და ფუძე-ენის რეკონსტრუქცია; შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის პრინციპები.	[16], გვ. 60-94 [28], (თავები შერჩევით) [1], გვ. 522-565 [4], (თავები შერჩევით) [9], (თავები შერჩევით)
11	**XXI თემა:** ფუძე ენაზე მოლაპარაკე ხალხთა წინარე სამშობლო, ისტორიული მიგრაციები და ამოსავალი ფუძე-ენიდან წარმომდგარ მონათესავე ენათა ოჯახების ფორმირება. ენა და კულტურა: კულტურის ლინგვისტური პალეოტოლოგია. **XXII თემა:** ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი; საერთო-ინდოევროპული კონსონანტიზმის რეინტერპრეტაცია და ‘’გლოტალური თეორია’’; ინდოევროპული წინარე ენის ვოკალიზმი და ‘’ლარინგალური თეორია’’.	[1], გვ. 572-580 [28], (თავები შერჩევით) [1], გვ. 580-589 [25], გვ. 152-213
12	**XXIII თემა:** ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი; ქართველური და ინდოევროპული რეკონსტრუქციები. **XXIV თემა:** ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება და "ნოსტრატიკა"; გლოტოქრონოლოგია და ლექსიკოსტატისტიკა.	[16], (თავები შერჩევით) [3], (თავები შერჩევით) [14], გვ. 14-132 [1], გვ. 588-602
13	**XXV თემა:** ენათა ნათესაობა და ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია: ინდოევროპული, სემიტური,	[1], გვ. 613-637

	იბერიულ-კავკასიური და სხვ. ენათა ოჯახები. **XXVI თემა:** არეალური ლინგვისტიკა. ენათა კონტაქტები და ინტერფერენცია-დივერგენცია. ენათა ტიპოლოგიური სიახლოვის განმსაზღვრელი არეალური ნიშნები.	[1], გვ. 602-613
14	**XXVII თემა:** სოციოლინგვისტიკა როგორც მეცნიერება ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების შესახებ; იდიოლექტი, სოციალური დიალექტი (ჟარგონი) და გეოგრაფიული დიალექტი. ენისა და დიალექტს გამოჯვნის პრობლემა: ტალღების თეორია და დიალექტის განსაზღვრის წმინდა ლინგვისტური და სოციოლინგვისტური მიდგომები; დიგლოსია და ბილინგვიზმი; კრეოლური და ფიჯინ ენები. **XXVIII თემა:** ფსიქოლინგვისტიკა და კოგნიტიური ლინგვისტიკა; ენა, აზროვნება და ენობრივი კატეგორიზაციის პრინციპები; კონცეპტუალური აზროვნება და კონცეპტუალური სტრუქტურები; ენა და მეხსიერება.	[1], გვ. 449-465 [1], 465-488
15	**XXVIX თემა:** ენის ათვისება; ბავშვის ენობრივი განვითარება; იაკობსონის უნივერსალიები და ბავშვის ენობრივი განვითარების საფეხურები; ენობრივი სისტემის მოშლა - აფაზია. ენობრივი უნარი და გენეტიკური კოდი. **XXX თემა:** გამოყენებითი ენათმეცნიერება: ენობრივი სტრუქტურების მოდელირება; მათემატიკური და კომპიუტერული ლინგვისტიკა.	[1], გვ. 473-482 [1], გვ. 488-492